



ქალაქ ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველოს“
ერთწლიანი ანგარიში

ნატალია ზოიძე

2018 წლის 20 დეკემბერი




ფრაქციის შექმნა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლისა და ქალაქ ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის მე-4 თავის თანახმად, **2017 წლის 20 ნოემბერს** ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სარეგისტრაციო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე დარეგისტრირდა ფრაქცია „ქართული ოცნება“

ფრაქციის წესდება;

ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა;

ფრაქციის დამფუძნებელი კრების ოქმი;



ფრაქციის შემადგენლობა

ამ ეტაპზე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობაში 13 წევრია (თავდაპირველად - 19);

9 დეპუტატი იკავებს თანამდებობას;

ფრაქციის წევრია საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილეები და ოთხი კომისიის თავმჯდომარე

სულიკო თებიძე	თამაზ სალუქვაძე	ლაშა სირაბიძე	ზურაბ ნაკაიძე	გოჩა მგელაძე
ირაკლი პატარიძე	დიმიტრი ჭეიშვილი	ელგუჯა ანდრიაძე	ირაკლი თოფურაძე	ირაკლი მიქელაძე
	თამაზი დევაძე	ბესარიონ გოგოტიშვილი	ნატალია ზოიძე	

ფრაქციის წევრთა კომისიური მუშაობა

- ბათუმის საკრებულოს ხუთი კომისიათაგან ოთხს თავმჯდომარეობს ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს წევრები;
- ხშირად ტარდება კომისიების გაერთიანებული სხდომებიც.



ფოტო ინფრასტრუქტურისა და საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიების გაერთიანებული სხდომიდან

გენდერული თანასწორობის საბჭო

ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობითი კვოტები გამოყენებული იქნა გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტებისას, როდესაც მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ფრაქციიდან „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ შეყვანილი იქნა ოთხი წევრი.



ფოტო გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომიდან

ფრაქციის მუშაობა საკრებულოში

ფრაქციამ ერთიანი პოზიცია გამოხატა საკრებულოს 21 სხდომაზე 183 საკითხის გადაწყვეტისას. ფრაქციის წევრმა თანამდებობის პირებმა მონაწილეობა მიიღეს 42 ბიუროს სხდომაში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფრაქციის 17 სხდომა, რომლებზეც განხილული იყო 47 საკითხი. აქედან, ფრაქციის წევრების ინიციატივით 7 სხდომა (სულიკო თებიძის, თამაზ სალუქვაძის, ირაკლი პატარიძის ინიციატივით).

ფრაქციის სხდომებზე განხილული აქტუალური საკითხები

- ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დოკუმენტი;
- შპს „ალმა“-ს წინადადება ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მგზავრთა მოსაცდელეების განთავსებასთან დაკავშირებით;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დადგენა;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა.

ფრაქციის თანამშრომლობა მესამე სექტორთან

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთ
მსხვილ არასამთავრობო
ორგანიზაციებთან თანამშრომლობა,
როგორებიცაა:

- **NDI** - ეროვნულ -
დემოკრატიული ინსტიტუტი
- **IRI** - საერთაშორისო
რესპუბლიკური ინსტიტუტი
- **IFES** - საარჩევნო სისტემების
საერთაშორისო ფონდი
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა -
საქართველო“, „საია“ და სხვა
ადგილობრივი არასამთავრობო
ორგანიზაციები.



ფრაქციის წევრების ორგანიზებული ღონისძიებები



„საშობაო ალილო“

ფრაქციის წევრები საკუთარი სახსრებით ჩართული არიან სხვადასხვა სახალხო თუ კოპულარულ აღსანიშნავ ღონისძიებაში.



ბავშვთა დღე მცირე საოჯახო ტიპის სახლში



დედის დღე მრავალშვილიან დედასთან



სტუმრად მარტოხელა დედებთან თავშესაფარში

ასეთი ვიზიტების დროს იკვეთება კონკრეტული პრობლემები, რომელთა მოგვარებაზეც შემდგომში ფრაქცია ზრუნავს. მაგალითად, მარტოხელა მშობლებთან ვიზიტის შემდეგ ცვლილება იქნა შეტანილი ქვეპროგრამაში „მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება“. კერძოდ, მარტოხელა მშობლებსაც გაეწევათ სუბსიდირება.

ფრაქციის ჩართულობა ქალაქგანვითარების ღონისძიებებში

ფრაქციის წევრები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ღონისძიებაში:



*საერთაშორისო სტანდარტების
საფეხბურთო სტადიონის
მშენებლობის საფუძვლის ჩაყრის
ოფიციალური ცერემონია.*



*მსოფლიო
დასუფთავების დღე*

ბათუმი სპორტის ქალაქი

ზედამხედველობა მერიაზე

- ✓ მერიაზე ზედამხედველობას ფრაქცია ბიუჯეტის მიმდინარეობასა და შესრულებაზე თვალყურის დევნით ახორციელებს. ამ მიზნით: ფრაქციამ მოისმინა ან გაეცნო:
მერის ანგარიშებს: „მერის 100 დღე“ ;
„მერის ერთი წელი“
- ✓ მერიის სამსახურების ანგარიშებს: „2018 წლის ანგარიში“
„6 თვის ანგარიში“
„10 თვის ანგარიში“
- ✓ ხშირია ფრაქციის შეხვედრა მერთან, მერიის სამსახურების უფროსებთან;
- ✓ ფრაქცია ინტერესდება ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობით.

ზედამხედველობა მერიაზე



სასადილოების მონიტორინგი



თამაზ სალუქვაძე ქუჩების კეთილმოწყობის მონიტორინგის პროცესში

ურთიერთობა ამომრჩევლებთან



ფრაქცია მაქსიმალურად ცდილობს მოქალაქეთა თვითმმართველობაში ჩართულობის ხელშეწყობას.

ერთი დღე მაჟორიტართან

ფრაქციის პირველი ინიციატივა „ერთი დღე მაჟორიტართან“ გახდა. მაჟორიტარი მოსახლეობას ყოველკვირეულად ერთ კონკრეტულ დღეს და დროს ხვდება. დროულად იქნა წარმოდგენილი მაჟორიტარების მოსახლეობასთან შეხვედრების გრაფიკი ფრაქციაში და პროპორციული სიით არჩეულ ფრაქციის წევრებსაც მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ გრაფიკს და, სურვილის შემთხვევაში, თავადაც გასულიყვნენ ადგილზე.

მაჟორიტარების ყოველკვირეულმა შეხვედრებმა:

- ა) ჩამოაყალიბა უშუალო კომუნიკაცია მაჟორიტარებსა და მოსახლეობას შორის;
- ბ) გაზარდა მოქალაქეების მომართვიანობა;
- გ) მალღდება მოსახლეობის ცნობიერება.

ღია ორშაბათები

ფრაქციის მეორე ინიციატივა „ღია ორშაბათები“ გახდა, როდესაც ყოველ ორშაბათს კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი მერთან ერთად 08.30-დან 11.00-მდე მუნიციპალური სერვისების ცენტრებში ხვდება მოსახლეობას.



„ღია ორშაბათებმა“ ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

- ა) გამოკვეთა ბიუროკრატიული ხარვეზები;
- ბ) გაზარდა მოქალაქეების ინფორმირება;
- გ) გაზარდა პროცედურების მიმართ მოსახლეობის ნდობა.

ღია კარის სხდომა


ფრაქციის მესამე ინიციატივა საკრებულოს ღია კარის დღის აღდგენა გახდა

ღია კარის დღე არის:

ა) საკუთარი მოსაზრებების ღიად დაფიქსირების შესაძლებლობა;

ბ) საჯაროობისა და გამჭვირვალობის კარგი შესაძლებლობა;

გ) როლების შეცვლა და პასუხისმგებლობების გადანაწილება.



ფრაქციის სამომავლო გეგმები

შევინარჩუნოთ და წარმატებული გავხადოთ:

ა) „ერთი დღე
მაჟორიტართან“

ბ) „ღია ორშაბათები“

გ) „ღია კარის დღე“

ბიუჯეტის პრიორიტეტებზე მუშაობისას ჩავრთოთ მოსახლეობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით;

ფრაქციისა და მოსახლეობის კომუნიკაციის გაძლიერება სხვადასხვა მექანიზმების საშუალებებით ცნობიერების ამაღლების მიზნით

დაგვიკავშირდით

ჩვენთან დაკავშირება შეგიძლიათ:

ელექტრონული ფოსტა: gdbatumi41@gmail.com
info@batumicc.ge

ტელეფონის ნომერი: 0422 27 90 05

Facebook: *ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“*

მისამართი: ბათუმი, ლუკა ასათიანის 25, ოთახი 38.

მადლობა ყურადღებისთვის
